ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 7 (20) აპრილი 1949 წ.

შინაარსი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები

62. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

63. კანონი საქართველოს სსრ სამინისტროების გაერთიანებისა და გარდაქმნის თაობაზე გამოცემულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

64. საქართველოს სსრ მინისტრებისა და მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის დანიშვნის თაობაზე გამოცემულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

65. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრების არჩევის შესახებ.

66. „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვასა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ცვლილების შეტანაზე გამოცემული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

67. ამხ. გ. ა. გოჩაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

68. ამხ. თ. ნ. ქვლივიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

69. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ კაჭრეთის, ლანჩხუთის, სამტრედიისა და ცხაკაიას რაიონებში.

70. „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვასა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

71. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად ამხ. შ. ი. გოგუაძის დაშვების შესახებ.

72. საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

73. საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

74. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სამტრედიის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკისათვის გიორგი თელიას სახელის მიკუთვნების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან არსებულ დაჯილდოებულთა აღრიცხვისა და რეგისტრაციის განყოფილებაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები

62. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის მოხსენების მიხედვით მიღებული ცვლილებით, შემოსავლის ნაწილში 2.500.045 ათასი მანეთი და გასავლის ნაწილში 2.500.045 ათასი მანეთი. გარდა ამისა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი საქართველოს სსრ რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტებით 1950 წლის 1 იანვრისათვის 68.627 ათასი მანეთი.

2. ამ კანონის 1 მუხლის შესაბამისად დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1949 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი შემდეგი თანხებით: შემოსავალი 2.284.465 ათასი მანეთი, გასავალი 1.110.786 ათასი მანეთი, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტების სახსრების გასაძლიერებლად ანარიცხები სახელმწიფო გადასახადიდან და შემოსავლიდან და დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 1.173.679 ათასი მანეთი, გარდა ამისა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1950 წლის 1 იანვრისათვის 26.988 ათასი მანეთი.

3. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების 1949 წლის ბიუჯეტები შემდეგ თანხებით (ათას მანეთობით):

ეროვნული ბიბლიოთეკა

	შემოსავალი	მათ შორის: ანარიცხები სახელმწიფო გადასახადიდან და შემოსავლიდან	მათ შორის: დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	გასავალი	საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1950 წ. 1 იანვრისათვის
აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	148.018	124.956	—	148.018	4.410
აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	112.012	90.756	—	112.012	3.330
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	59.226	33.165	23.525	59.226	1.770
ქალაქი თბილისი	273.029	178.328	—	273.029	8.145
ქალაქი ქუთაისი	42.125	27.319	—	42.125	1.251
ქალაქი ფოთი	16.932	12.615	—	16.932	507
ქალაქი ჭიათურა	9.515	8.097	—	9.515	285
ქალაქი რუსთავი	4.920	4.415	—	4.920	147
აბაშის რაიონი	11 489	10.069	—	11.489	345
ადიგენის რაიონი	8.291	4.082	3.679	8.291	306
ამბროლაურის რაიონი	11.977	11.104	—	11.977	359
ასპინძის რაიონი	6.638	2.288	4.149	6.638	254
ახალქალაქის რაიონი	15.919	14.947	—	15.919	477
ახალციხის რაიონი	15.305	13.455	—	15 305	459
ახმეტის რაიონი	10.781	10.403	—	10.781	323
ბოგდანოვკის რაიონი	8.284	6.265	1.813	8.284	249
ბოლნისის რაიონი	10.847	10.215	—	10.847	325
ბორჯომის რაიონი	13.866	12.027	—	13 866	413
გარდაბნის რაიონი	5.831	3.122	2.467	5.831	173
გეგეჭკორის რაიონი	17.854	9.366	7.896	17.854	536
გორის რაიონი	30.619	27.281	—	30.619	900
გურჯაანის რაიონი	13.084	11.928	—	13.084	393
დმანისის რაიონი	11.026	7.523	3.209	11.026	331
დუშეთის რაიონი	14.636	8.466	5.649	14.636	439
ვანის რაიონი	12.022	4.983	6.566	12.022	361
ზემო სვანეთის რაიონი	7.725	3.578	4.017	7.725	232
ზესტაფონის რაიონი	17.695	15.294	—	17.695	531
ზუგდიდის რაიონი	26.979	23.900	—	26.979	809
თბილისის რაიონი	13.510	12.027	—	13.510	405
თეთრიწყაროს რაიონი	12.911	12.200	—	12.911	387
თელავის რაიონი	20.439	18.670	—	20.439	613
თიანეთის რაიონი	6.374	4.810	1.380	6.374	191
კასპის რაიონი	14.199	13.447	—	14.199	426
კაჭრეთის რაიონი	7.733	7.499	—	7.733	242
ლაგოდეხის რაიონი	13.895	12.773	—	13.895	417
ლანჩხუთის რაიონი	12.768	11.933	—	12.768	380
მაიაკოვსკის რაიონი	10.271	9.886	—	10.271	308
მარნეულის რაიონი	13.724	12.874	—	13.724	412
მახარაძის რაიონი	25.350	23.205	—	25.350	760
მცხეთის რაიონი	9.997	9.328	—	9.997	300
ონის რაიონი	11.354	4.069	6.859	11.354	341
ორჯონიკიძის რაიონი	12.175	6.067	5.651	12.175	365
საგარეჯოს რაიონი	9.990	9.620	—	9.990	300
სამტრედიის რაიონი	17.186	14.493	—	17.186	516

ეროვნული ბიბლიოთეკა

	შემოსავალი	მათ შორის: ანარიცხები სახელმწიფო გადასახადიდან და შემოსავლიდან	მათ შორის: დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	გასავალი	საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1950 წ. 1 იანვრისათვის
საჩხერის რაიონი	10.757	7.005	3.344	10.757	322
სიღნაღის რაიონი	15.391	13.865	—	15.391	460
ტყიბულის რაიონი	11.678	10.236	—	11.678	350
ქარელის რაიონი	11.449	10.887	—	11.449	343
ქვემო-სვანეთის რაიონი	5.519	1.293	4 078	5 519	166
ქლუხორის რაიონი	11.862	3.961	7.146	11.862	356
ქუთაისის რაიონი	10 111	7.259	2.351	10.111	303
ყაზბეგის რაიონი	5.883	3.972	1.799	5.883	176
ყვარლის რაიონი	9.719	9 298	—	9.719	291
ჩოხატაურის რაიონი	12.340	6.482	5.200	12 340	370
ჩხარის რაიონი	8.967	5 200	3 457	8.967	269
ჩხოროწყუს რაიონი	9.094	6.185	2.624	9.094	273
ცაგერის რაიონი	10.193	9.834	—	10.193	306
ცხაკაიას რაიონი	16.906	14.513	—	16 906	507
წალენჯიხის რაიონი	10.074	6.867	2.925	10.074	302
წალკის რაიონი	13.597	13 152	—	13.597	408
წითელწყაროს რაიონი	10.036	9.138	—	10 036	298
წულუკიძის რაიონი	12.517	8.477	2.659	12.517	376
წყალტუბოს რაიონი	8.659	7.568	—	8 659	260
ჭიათურის რაიონი	10.178	9 905	—	10.178	305
ხაშურის რაიონი	17 052	14.871	—	17 052	512
ხობის რაიონი	8.756	8.420	—	8.756	263
ს უ ლ	1.389.259	1.061.236	112.443	1.389.259	41.639

4. დაწესდეს 1949 წლისათვის ანარიცხები სახელმწიფო გადასახადიდან და შემოსავლიდან საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტში გადასარიცხად შემდეგი ოდენობით:

ა) არასასაქონლო ოპერაციებზე გადასახადიდან და ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა ცხენებზე სახელმწიფო გადასახადიდან 100%.

ბ) მანქანა-ტრაქტორთა სადგურების შემოსავლიდან 50%.

გ) მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან, კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან, სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან, სსრ კავშირის უცოლო და უქმრო, მარტოხელა და მცირე ოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან, სატყეო შემოსავლიდან, მოსახლეობაში გავრცელებული სესხისა და ბრუნვის გადასახადიდან შემოსული თანხებიდან:

ეროვნული ბიბლიოთეკა

	ანარიცხების პროცენტები						
	მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან	კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან	სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან	სსრკ უცხოელთა და უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან	სატყეო შემოსავლიდან	ძოსახლეობაში გავრცელებული სახელმწიფო სესხის თანხიდან	ბრუნვის გადასახადიდან
აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	60	25	25	50	50	40	28.7
აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	50	50	25	25	50	40	16.3
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი .	100	50	50	100	50	40	100.0
ქალაქი თბილისი	13	—	—	17	—	50	5.0
ქალაქი ქუთაისი	25	—	—	25	—	40	5.9
ქალაქი ფოთი	50	50	50	50	50	40	8.7
ქალაქი ჭიათურა	50	—	—	25	—	40	7.4
ქალაქი რუსთავი	30	—	—	50	—	30	55.9
აბაშის რაიონი	100	80	25	50	—	50	30.1
ადიგენის რაიონი	100	64	50	50	50	50	100.0
ამბროლაურის რაიონი	100	100	100	100	50	60	88.0
ასპინძის რაიონი	100	100	100	50	50	50	100.0
ახალქალაქის რაიონი	85	50	50	50	—	50	92.9
ახალციხის რაიონი	25	25	25	25	50	50	19.4
ახმეტის რაიონი	100	100	80	100	—	50	100.0
ბოგდანოვკის რაიონი	100	100	100	100	—	50	100.0
ბოლნისის რაიონი	100	25	100	100	50	50	100.0
ბორჯომის რაიონი	50	25	15	50	50	50	12.5
გარდაბნის რაიონი	100	25	25	50	50	50	100.0
გეგეჭკორის რაიონი	100	100	50	100	50	92	100.0
გორის რაიონი	50	25	25	25	50	50	47.8
გურჯაანის რაიონი	50	25	25	50	50	50	65.3
დმანისის რაიონი	100	100	81	100	50	80	100.0
დუშეთის რაიონი	100	100	50	50	50	50	100.0
ვანის რაიონი	80	25	25	50	—	50	100.0
ზემო-სვანეთის რაიონი	100	—	—	100	22.5	100	100.0
ზესტაფონის რაიონი	50	25	15	50	—	50	23.4
ზუგდიდის რაიონი	50	25	15	50	50	50	54.5
თბილისის რაიონი	50	25	25	25	50	50	92.1
თეთრიწყაროს რაიონი	100	100	100	100	50	75	92.6
თელავის რაიონი	50	30	20	50	50	50	44.8
თიანეთის რაიონი	100	100	85	50	50	83	100.0
კასპის რაიონი	25	25	15	25	50	50	64.9
კაჭრეთის რაიონი	100	100	100	100	—	60	95.3
ლაგოდეხის რაიონი	100	50	84	100	50	60	100.0
ლანჩხუთის რაიონი	50	50	50	50	—	50	96.9
მაიაკოვსკის რაიონი	100	100	100	100	50	75	83.1
მარნეულის რაიონი	50	25	25	50	—	50	38.5
მახარაძის რაიონი	50	25	25	50	50	50	38.7
მცხეთის რაიონი	100	50	50	100	50	50	84.9
ონის რაიონი	100	50	50	50	50	50	100.0
ორჯონიკიძის რაიონი	100	50	50	50	50	50	100.0
საგარეჯოს რაიონი	100	25	25	100	50	50	93.8
სამტრედიის რაიონი	50	25	25	50	—	50	11.7

ეროვნული ბიბლიოთეკა

	ანარიცხების პროცენტები						
	მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან	კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან	სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან	სსრკ უცხოელ და უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან	სატყეო შემოსავლიდან	მოსახლეობაში გავრცელებული სახელმწიფო სესხის თანხიდან	ბრუნვის გადასახადიდან.
საჩხერის რაიონი	100	50	50	100	50	96	100.0
სიღნაღის რაიონი	50	25	15	50	50	50	19.7
ტყიბულის რაიონი	50	50	25	50	50	50	30.9
ქარელის რაიონი	50	50	25	50	—	30	49.1
ქვემო-სვანეთის რაიონი	100	100	—	50	—	50	100.0
ქლუხორის რაიონი	100	100	100	50	50	50	100.0
ქუთაისის რაიონი	100	50	84	60	50	50	100.0
ყაზბეგის რაიონი	100	100	100	50	—	50	100.0
ყვარლის რაიონი	100	100	100	50	50	95	100.0
ჩოხატაურის რაიონი	100	73	50	100	50	50	100.0
ჩხარის რაიონი	100	100	100	100	—	50	100.0
ჩხოროწყუს რაიონი	100	100	100	100	50	50	100.0
ცაგერის რაიონი	100	75	100	100	50	60	99.1
ცხაკაიას რაიონი	50	25	25	50	—	50	53.0
წალენჯიხის რაიონი	100	100	100	50	—	50	100.0
წალკის რაიონი	100	100	100	100	—	83	100.0
წითელწყაროს რაიონი	100	50	50	100	—	50	94.6
წულუკიძის რაიონი	100	100	100	100	—	50	100.0
წყალტუბოს რაიონი	100	50	50	100	—	50	97.7
ჭიათურის რაიონი	100	50	100	100	—	60	92.2
ხაშურის რაიონი	50	50	25	50	50	50	37.3
ხობის რაიონი	100	50	100	100	—	75	99.0

5. დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლის ნაწილში—2.251.683 ათასი მანეთი; გასავლის ნაწილში—2.190.201 ათასი მანეთი, გასავალზე შემოსავლის 61.482 ათასი მანეთის გადამეტებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1949 წ. 20 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

63. კანონი საქართველოს სსრ სამინისტროების გაერთიანებისა და გარდაქმნის თაობაზე გამოცემულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1948 წლის 8 ოქტომბრისა—„საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ“;

1949 წლის 24 იანვრისა—„საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს და საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“;

1949 წლის 5 თებერვლისა—„საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს და საქართველოს სსრ საგემოვნო მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“.

2. შეტანილ იქნას სათანადო ცვლილება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50 და 55 მუხლებში, რომლებიც გამოიხატოს შემდეგნაირად:

მუხლი 50. საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს ჰქმნის საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები;

საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ-ის მინისტრები:

ადგილობრივი მრეწველობისა;

განათლებისა;

ვაჭრობისა;

თავდაცვისა;

იუსტიციისა;

კვების მრეწველობისა;

კინემატოგრაფიისა;

კომუნალური მეურნეობისა;

მსუმბუქი მრეწველობისა;

საავტომობილო ტრანსპორტისა;

საგარეო საქმეთა;

სატყეო და ქაღალდის მრეწველობისა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატყეო მეურნეობისა;
საშენ მასალათა მრეწველობისა;
სახელმწიფო უშიშროებისა;
სახელმწიფო კონტროლისა;
სოფლის მეურნეობისა;
სოციალური უზრუნველყოფისა;
ფინანსთა;
შინაგან საქმეთა;
წყალთა მეურნეობისა;
ხორცისა და რძის მრეწველობისა;
ჯანმრთელობის დაცვისა;
ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი;
კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე.

მუხლი 55. საქართველოს სსრ-ის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები არიან სამინისტროები:

ვაჭრობისა;
თავდაცვისა;
იუსტიციისა;
კვების მრეწველობისა;
კინემატოგრაფიისა;
მსუბუქი მრეწველობისა;
საგარეო საქმეთა;
სატყეო და ქაღალდის მრეწველობისა;
სატყეო მეურნეობისა;
საშენ მასალათა მრეწველობისა;
სახელმწიფო უშიშროებისა;
სახელმწიფო კონტროლისა;
სოფლის მეურნეობისა;
ფინანსთა;
შინაგან საქმეთა;
ხორცისა და რძის მრეწველობისა;
ჯანმრთელობის დაცვისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1919 წ. 20 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

64. საქართველოს სსრ მინისტრებისა და მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის დანიშვნის თაობაზე გამოცემულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, რომლებითაც დანიშნული არიან:

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრად მემარნიშვილი მიხეილ გიორგის-ძე;

საქართველოს სსრ სატყეო და ქაღალდის მრეწველობის მინისტრად ჯაბუა გიორგი ანდრიას-ძე;

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრად გოჩაშვილი გიორგი ალექსანდრეს-ძე;

საქართველოს სსრ მსუმბუქი მრეწველობის მინისტრად რობაქიძე გიორგი აბესალომის-ძე;

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად ნარსია მიხეილ ბახვას-ძე;

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრად ბაქრაძე ვალერიან მინას-ძე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსად დოლიძე ისიდორე სამსონის-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1949 წ. 20 აპრილი.

65. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრების არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებად:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაღათურია დავით ისიდორეს-ძე,
გოგუაძე შუშანა იოსების ასული,
ზანგური ოლღა გიორგის ასული,
კერესელიძე გრიგოლ დიმიტრის-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1949 წ. 20 აპრილი.

66. „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვასა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ცვლილების შეტანაზე გამოცემული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 1 აპრილის ბრძანებულება „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვასა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1949 წ. 20 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

67. ამხ. გ. ა. გოჩაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

განთავისუფლდეს ამხ. გიორგი ალექსანდრეს-ძე გოჩაშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრად დანიშვნის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1949 წ. 20 აპრილი.

68. ამხ. თ. ნ. ქვლივიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნას ამხ. თამარ ნიკოლოზის ასული ქვლივიძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1949 წ. 20 აპრილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებანი და დადგენილებანი

69. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ კაჭრეთის, ლანჩხუთის, სამტრედიისა და ცხაკაიას რაიონებში

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ კაჭრეთის, ლანჩხუთის, სამტრედიისა და ცხაკაიას რაიონებში მშრომელთა დეპუტატების რაიონული და სასოფლო საბჭოების მიერ შექმნილია საბჭოების მუდმივი კომისიები, რომელთა ირგვლივ შემოკრებილია საბჭოს აქტივი. მუდმივი კომისიების უმრავლესობას შედგენილი აქვს სამუშაო გეგმები (თვიური, კვარტალური); მუდმივი კომისიები იკვლევენ და ამზადებენ შესაბამის საკითხებს და თავიანთი წინადადებანი შეაქვთ მშრომელთა დეპუტატების საბჭოში ან აღმასრულებელ კომიტეტში განსახილველად.

ამასთანავე მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობას კაჭრეთის, ლანჩხუთის, სამტრედიისა და ცხაკაიას რაიონებში აქვს რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი.

მუდმივ კომისიებში არ არის ჩაბმული მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს ყველა დეპუტატი. მაგალითად, სამტრედიის რაიონული საბჭოს მუდმივი კომისიების გარეშეა 7 დეპუტატი, კაჭრეთის რაიონული საბჭოსი—5 დეპუტატი, ცხაკაიას რაიონული საბჭოსი—6 დეპუტატი. ადგილობრივი საბჭოს მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ რიგ შემთხვევაში არჩეულია საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრი და საბჭოს აღმასკომის განყოფილების გამგე, რაც ეწინააღმდეგება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების დებულებას.

ზოგიერთი მუდმივი კომისიის მუშაობაში არ არის ჩაბმული საბჭოს აქტივი (სამტრედიის და კაჭრეთის რაიონები). მშრომელთა დეპუტატების რაიონული და სასოფლო საბჭოების მუდმივი კომისიების წევრების დამტკიცებისას რიგ შემთხვევაში არ არის მიღებული მხედველობაში დეპუტატის მომზადება და გამოცდილება, ამის გამო ზოგიერთ მუდმივ კომისიაში ირიცხებიან დეპუტატები, რომელთა მონაწილეობა უფრო მეტად მიზანშეწონილი იქნებოდა სხვა მუდმივ კომისიაში.

მშრომელთა დეპუტატების სამტრედიის, ცხაკაიას და კაჭრეთის რაიონული საბჭოების სასოფლო-სამეურნეო მუდმივი კომისიები, კაჭრეთის სასოფლო საბჭოს საბიუჯეტო, სასოფლო-სამეურნეო, ჯანმრთელობის დაცვის, საგზაო მშენებლობისა და კეთილმოწყობის კომისიები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრომელთა დეპუტატების ლანჩხუთის რაიონული საბჭოს სასოფლო-სამეურნეო მუდმივ კომისიას 1948 წლის განმავლობაში ერთი სხდომა აქვს ჩატარებული, სამტრედიის რაიონული საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის კომისიას—ორი სხდომა, ცხაკაიას რაიონული საბჭოს სასოფლო-სამეურნეო კომისიას ორი სხდომა და სხვა.

მშრომელთა დეპუტატების სამტრედიის რაიონული საბჭოს საბიუჯეტო და ადგილობრივი მრეწველობის კომისიებმა, აგრეთვე ცხაკაიას რაიონული საბჭოს საბიუჯეტო კომისიამ ყურადღების გარეშე დასტოვეს გადასახადების აკრეფისა და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმების შესრულებაში არსებული ჩამორჩენა.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივი კომისიების დებულებას ზოგიერთი მუდმივი კომისია არ იცნობს და თავის მუშაობაში მით არ ხელმძღვანელობს.

რიგ შემთხვევებში მუდმივი კომისიის მიერ მიღებული დადგენილებანი ზოგადი, არაკონკრეტულია და ამიტომ მოკლებულია პრაქტიკულ მნიშვნელობას. მაგალითად, ცხაკაიას რაიონის მშრომელთა დეპუტატების ახალსოფლის სასოფლო საბჭოს სოფლის გამწვანების მუდმივმა კომისიამ თავის 1949 წლის 5 მარტის სხდომაზე დაადგინა: „დაევალოს მუდმივი კომისიის თავმჯდომარე ხურციას იზრუნოს სოფლის გამწვანებისა და კეთილმოწყობისათვის, მიაღწიოს სოფლის კულტურულ მოწყობას, ბაღების გაშენებას დასასვენებლად კლუბის ეზოში და სხვ.“

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და სასოფლო საბჭოების ზოგიერთი მუდმივი კომისია ამეტებს თავის უფლებამოსილებას და სავალდებულო განკარგულებებს აძლევს უშუალოდ წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, მაშინ როდესაც საბჭოს მუდმივი კომისია არ არის აღჭურვილი ასეთი უფლებით და ვალდებულია თავისი წინადადებანი შეიტანოს განსახილველად მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ან აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტები არასაკმარის დახმარებას უწევენ სასოფლო საბჭოებს მუდმივი კომისიების მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაევალოს მშრომელთა დეპუტატების კაჭრეთის, ლანჩხუთის, სამტრედიისა და ცხაკაიას რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

1. აღმოუჩინონ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივ კომისიებს საჭირო პრაქტიკული დახმარება ამ დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

2. ჩააბან ყველა დეპუტატი საბჭოს რომელიმე მუდმივი კომისიის მუშაობაში, ამასთანავე დაეხმარონ მუდმივ კომისიებს თავიანთ მუშაობაში მოწინავე მუშების, კოლმეურნე გლეხებისა და ინტელიგენციის (საბჭოს აქტივის) მიზიდვაში. მშრომელთა დეპუტატების საჭბოს მუდმივი კომისიების ჩამოყალიბები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სას და ამ კომისიების მუშაობისას მტკიცედ იხელმძღვანელონ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივი კომისიების დებულებით.

3. გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობაზე, ჩააბან კომისიები ცალკეული საკითხების წინასწარ მომზადებასა და წინადადებათა შემუშავებაში, დახმარება გაუწიონ მათ მუშაობის უკეთ მოწყობაში, გეგმების შედგენაში და სხვ.

4. მნიშვნელოვნად გააძლიერონ ხელმძღვანელობა და დახმარება მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოებისადმი მუდმივი კომისიების მუშაობის გაუმჯობესებისა და მათ მუშაობაში სოფლის აქტივის მიზიდვის საქმეში.

სასოფლო საბჭოს მუდმივმა კომისიებმა თავიანთი ღონისძიებებით ხელი უნდა შეუწყონ სოფლის ცხოვრების მორიგი პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანების წარმატებით განხორციელებას, როგორიც არის: საგაზაფხულო სამუშაოთა მაღალხარისხოვნად და აგროტექნიკურ ვადებში დამთავრება, მიმდინარე 1949 წელს სასოფლო-სამეურნეო ყველა კულტურის უხვი მოსავლის მიღების უზრუნველყოფა, სამუშაოების ჩატარება სოფლის მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით მინდორ-ქარსაფარი ზოლების შესაქმნელად, მიწათმოქმედებისათვის უვარგის საკოლმეურნეო მიწებზე ტყის გასაშენებლად და სოფლის ტერიტორიის გასამწვანებლად; კოლმეურნეობათა და სოფლის სხვა შესაძლო რესურსების ეფექტიური გამოყენება სოფლის კეთილმოწყობისათვის, სოფლის ელექტროფიკაციისა და რადიოფიკაციისათვის; ქოხ-სამკითხველოების, კლუბების, აბანოების მშენებლობა, შარა-გზების კარგ მდგომარეობაში შენახვა და სხვა.

5. სისტემატურად მოისმინონ აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე, აგრეთვე შეიტანონ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს სესიაზე განსახილველად საკითხები მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მიაქცევს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ყურადღებას მუდმივი კომისიების მნიშვნელობაზე, რომლებიც წარმოადგენენ ერთერთ ფორმას საბჭოს დეპუტატისა და საბჭოს აქტივის მიზიდვისათვის საბჭოს წინაშე დასახული სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტის საქმეში. და ავალებს მათ გააძლიერონ ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა და მიაღწიონ ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1949 წ. 1 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

70. „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვასა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვასა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 71-84[3]-მუხლები.

2. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 87, 90, 92, 94, 103, 105, 156[1], 166 და 185 მუხლებიდან ამოიშალოს შემდეგი სიტყვები: 87 მუხლიდან „და აღნაგობის უფლებაც“, 90, 92, 94, 105, 185 მუხლებიდან— „და აღნაგობის უფლების“, 103 მუხლიდან—„ან აღნაგობის უფლების“; 156[1] მუხლიდან „თუ აღნაგობის უფლებით“, 166 მუხლიდან—„ან აღნაგობის უფლებით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

ქ. თბილისი.
1949 წ. 1 აპრილი.

71. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად ამხ. შ. ი. გოგუაძის დაშვების შესახებ

დაშვებულ იქნას ამხ. შუშანა იოსების ასული გოგუაძე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად.

ეს დადგენილება წარედგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიას დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

ქ. თბილისი.
1949 წ. 5 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

72. საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს მუშაკებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირში სოციალისტური სახელმწიფო კონტროლის შექმნის 30 წლისთავთან დაკავშირებით, სოციალისტური სახელმწიფო კონტროლის დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. ბაბუნაშვილი კონდრატი იოსების-ძე,
2. ბახტაძე ელენე ალექსანდრეს ასული,
3. ბურჯანაძე ვლადიმერ მალხაზის-ძე,
4. გრიგოლაძე ნინო ნიკოლოზის ასული,
5. თოფურიძე იოსებ ანტონის-ძე,
6. იაკობაშვილი ანგელინა ავიაფარის ასული,
7. კვალიაშვილი ვლადიმერ ვასილის-ძე,
8. კვარაცხელია შალვა ანდრიას-ძე,
9. ლომიძე ალექსანდრე იოსების-ძე,
10. მარგიევა-კაზაჩენკო ანა ივანეს ასული,
11. მატახერია ნინო იოსების ასული,
12. მატინოვი ლეონ ნიკოლოზის-ძე,
13. მაღლაფერიძე ნიკოლოზ ალექსის-ძე,
14. რუხაძე ანდრია მაქსიმეს-ძე,
15. ქავთარაძე ალექსანდრე ივანეს-ძე,
16. ქიქოძე ვლადიმერ გიორგის-ძე,
17. ღარიბოვი ლეონ იაგორის-ძე,
18. ყიფიანი ნიკოლოზ კოხსტანტინეს-ძე,
19. ხოჯამიროვი ივანე გიორგის-ძე,
20. ჯანჯღავა სარდიონ პორფირეს-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1949 წ. 9 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

73. საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის დაარსების 25 წლისთავთან დაკავშირებით, ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის მუშაკები:

1. გოგოლაძე ვასილ მიხეილის-ძე	საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის დირექტორი
2. ხუნდაძე პლატონ დავითის-ძე	საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის დირექტორის მოადგილე
3. ჯოჯუა ვლადიმერ კვირიაკის-ძე	დოკუმენტალური ბიბლიოგრაფიის განყოფილების გამგე
4. ნაკაშიძე თინათინ ერმილეს ასული	საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

ქ. თბილისი.
1949 წ. 26 აპრილი.

74. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სამტრედიის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკისათვის გიორგი თელიას სახელის მიკუთვნების შესახებ

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ მსუმბუქი მრეწველობის სამინისტროს სამტრედიის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა შუამდგომლობა და მიეკუთვნოს ფაბრიკას გიორგი თელიას სახელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

ქ. თბილისი.
1949 წ. 26 აპრილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან არსებულ დაჯილდოებულთა აღრიცხვისა და რეგისტრაციის განყოფილებაში

ამ განყოფილების მუშაობაში დიდი ადგილი უჭირავს მრავალშვილიანი დედების დაჯილდოების საქმეს. მასალებს მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მისანიჭებლად და „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დასაჯილდოებლად უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს უდგენენ მშრომელთა დეპუტატების სარაიონო და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები. არსებობს სპეციალური ინსტრუქციები და ფორმები მრავალშვილიანი დედების დასაჯილდოებლად წარდგენის წესის შესახებ, რომლებსაც საქართველოს სსრ ყველა რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოს აღმასკომი გაცნობილია.

რაიონული და საქალაქო აღმასკომების უმრავლესობა მრავალშვილიანი დედების დაჯილდოებისათვის საჭირო დოკუმენტებს სწორად ადგენს. მაგრამ ხშირად ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც აღნიშნული დოკუმენტები დაუდევრადაა შედგენილი და შეცდომებს შეიცავენ.

სასოფლო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებაში მრავალშვილიანი დედის დაჯილდოებაზე შუამდგომლობის აღძვრის შესახებ (ფორმა № 2) უნდა შეტანილი იყოს მრავალშვილიანი დედის გვარი, სახელი, მამის სახელი, საცხოვრებელი და სამუშაო ადგილი, დაბადების წელი, შვილების გვარი, სახელი და დაბადების წელი; იმ შვილებზე, რომელნიც დედასთან არ ცხოვრობენ, საჭიროა ცნობა, გაცემული მილიციისაგან ამ შვილების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ან სამხედრო ნაწილისაგან. იმავე გადაწყვეტილებაში იწერება უკანასკნელი შვილის დაბადების წელი, თვე და რიცხვი. გადაწყვეტილების ამონაწერს ხელს უნდა აწერდნენ სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე და მდივანი და უნდა დასმული ჰქონდეს სასოფლო საბჭოს ბეჭედი.

ასეთივე ცნობებია შესატანი მრავალშვილიანი დედის ანკეტაში (ფორმა № 1), რომელსაც ავსებს რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასკომის მრავალშვილიან და მარტოხელა დედათა სახელმწიფო დახმარების განყოფილება. ანკეტას ხელს უნდა აწერდეს განყოფილების გამგე და ასვამდეს თავის ბეჭედს.

შევსებულ ანკეტას განყოფილების გამგე უდგენს რაიონული (საქალაქო) აღმასკომის თავმჯდომარეს მრავალშვილიანი დედის მთელ საქმესთან ერთად და ადასტურებს წარმოდგენილი დოკუმენტების სისწორეს.

ამ მასალების საფუძველზე რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასკომს გამოაქვს გადაწყვეტილება მრავალშვილიანი დედის დაჯილდოებაზე უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე შუამდგომლობის აღძვრის შესახებ. გადაწყვეტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების ამონაწერი ეგზავნება მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს აღმასკომის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერით და აღმასკომის ბეჭდის დასმით (ფ. № 2).

საქართველოს სსრ რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც აღნიშნულ დოკუმენტებზე არა აქვთ ხელი მოწერილი სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს და მდივანს, ანდა მრავალშვილიან და მარტოხელა დედათა სახელმწიფო დახმარების განყოფილების გამგეს, აგრეთვე არ არის დასმული ბეჭედი. მოვიყვანოთ მაგალითები. ყვარლის რაისაბჭოს აღმასკომის მრავალშვილიან და მარტოხელა დედათა სახელმწიფო დახმარების განყოფილების გამგეს ხელი არ მოუწერია და ბეჭედი არ დაუსვამს დასაჯილდოებლად წარმოდგენილი ორი მრავალშვილიანი დედის საქმეებზე (ფ. № 1). ასეთივე შემთხვევებს ჰქონდა ადგილი თელავის, დუშეთის, წყალტუბოს და სხვა რაიონული საბჭოებიდან წარმოდგენილ მასალებში.

აუცილებლად საჭიროა მრავალშვილიანი დედის უკანასკნელი ბავშვის დაბადების თარიღის აღნიშვნა, რადგანაც კანონის თანახმად „გმირი დედის“ საპატიო წოდებით, „სახელოვანი დედის“ ორდენითა და „დედობის მედლის“ მედლით დაჯილდოება ხდება მაშინ, როცა უკანასკნელ ბავშვს 1 წელი შეუსრულდება. წარმოდგენილ საქმეებში ხშირად არაა ნაჩვენები უკანასკნელი ბავშვის დაბადების თარიღი, რაც იწვევს დაჯილდოების გაჭიანურებას, საქმის უკან დაბრუნებას და სხვ. საქმეები ასეთი ნაკლოვანებით უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმში წარმოდგენილია ხაშურის, წალკის, ბოლნისის და სხვა რაიონებიდან.

ხშირია შემთხვევები, როდესაც № 1 ფორმისა და № 2 ფორმის მონაცემები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგალითად, წყალტუბოს რაიონიდან წარმოდგენილ რამოდენიმე საქმეში ერთისა და იმავე პირების დაბადების თარიღები სხვადასხვანაირად არის მოცემული. ანალოგიურ შემთხვევებს ადგილი ჰქონდათ წალკის, ხაშურის და სხვა რაიონებიდან წარმოდგენილ საქმეებში.

თითქმის ყველა რაიონის მასალებში მოიპოვება რამოდენიმე საქმე, რომლებშიც გვხვდება განსხვავება სასოფლო საბჭოს აღმასკომისა და მრავალშვილიან და მარტოხელა დედათა სახელმწიფო დახმარების განყოფილების ცნობებს შორის მრავალშვილიანი დედის გვარის, სახელის ან მამის სახელის, დაბადების წელის, საცხოვრებელი ადგილის და მოსაქმეობის შესახებ, შვილთა რიცხვის შესახებ და სხვ. განსაკუთრებით ბევრია შემთხვევები განსხვავებისა შვილების სახელებსა და მათი დაბადების წლებს შორის (ყვარლის, ახალციხის და სხვა რაიონები). შეიძლება აღინიშნოს კიდევ ერთი დარღვევა, რომელიც მეტად ხშირია. ეს არის არასწორად ცნობების წარმოდგენა იმ შვილებზე, რომელნიც დედასთან არ ცხოვრობენ. რიგ შემთხვევებში ასეთ შვილებზე საქმეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობები სულ არ მოიპოვება. ზოგჯერ ცნობები გაცემულია არა მილიციისაგან, არამედ სახლთმმართველობისაგან, რაც არაა სწორი.

ყველა ზემოაღნიშნული დარღვევა დიდ სიძნელეს ქმნის და მრავალშვილიანი დედების დაჯილდოების საქმეთა წარმოებას აფერხებს.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს სრული შესაძლებლობა აქვთ კონტროლი გაუწიონ ყოველ დასაჯილდოებლად წარმოდგენილი მრავალშვილიანი დედის საქმეს და უზრუნველყონ მისი საჭირო დოკუმენტებით შევსება და დოკუმენტებში მოცემული ცნობების სისწორე. მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება თავიდან ავიცილოთ ამ დარგში არსებული ნაკლოვანებანი და მივაღწიოთ მრავალშვილიანი დედების დაჯილდოების საქმეთა შეუფერხებელ მიმდინარეობას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია

გამომცემელი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ., მთავრობის სახლი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Ведомости Верховного Совета
Грузинской Советской Социалистической Республики
№ 7 (20) апрель 1949 г.
(на грузинском языке)

ИЗДАНИЕ ПРЕЗИДИУМА ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГССР

ფასი 1 მ. და 50 კაპ.

სტამბის შეკვ. № 759 ტირაჟი 2000 უე 04501

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ № 14.
Полиграфкомбинат „Комунисти" им. Л. П. Берия, Тбилиси, ул. Ленина № 14.